



ბრძანება

N 291
16/06/2022

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

„განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N5-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) 2022 წლის 06 ივნისის N131 განცხადება (რეგისტრაციის N99618/16; 07.06.2021წ.) სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამების შესახებ. სამსახურს დამატებით წარედგინა 2022 წლის 15 ივნისის N137 განცხადება (სამსახურში რეგისტრაციის N105549/16; 15.06.2022წ.), განახლებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N5-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2022 წლის 15 ივნისის N137 კორესპონდენციით წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2022 წლის პროგრამა;

3. მიენიჭოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-015/22;

4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ბაფ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ბაფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

5. დაევალოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) -მ.შ
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

